საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფაქვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 21 აგვისტო, 2015 წელი.

№156 (7801)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

დავით მაღრაძე:

საქართველოში სიტყვის თავისუფლებას საფრთხე აღარ ემუქრება

გოგა ხაინდრავა:

ნიკოლას ბერლინერის განცხადება შეურაცხმყოფელია!

კარლო კოპალიანი:

ეს არის ამერიკული დემოკრატია?!

3

„მარტივად გაამართლებენ – საჩქარო იყო საქართველოს გაწევრიანება და MAP-ის დრო არ რჩებოდაო!“

4

SALE თუ ქართული მარკეტინგული დარდუბალა?

5

პუტინმა ყირიმელი თათრები გააღიზიანა

6

„გრაკლიანის გორის“ საიდუმლო

2

მარტოხელა პენსიონერებს შეჩერებული დახმარება აღუდგებათ

„იმ მარტოხელა პენსიონერებს, რომლებსაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში დახმარება შეუჩერდათ, 20 აგვისტოდან აღუდგებათ, — ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ზაზა სოფრომაძემ განაცხადა. მისი თქმით, უკვე დაიწყო იმ თანხების გაცემა, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ცვლილებების შედეგად აღუდგებათ მარტოხელა პენსიონერებს.

„ბოლო პერიოდის განმავლობაში მიზანმიმართული კამპანია მიიღო ჩვენი ოპონენტების მხრიდან ადამიანების ბედით მანიპულირებამ, სოციალურად დაუცველი ოჯახების გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის“, — განაცხადა ზაზა სოფრომაძემ.

მისივე განმარტებით, სამინისტროს მიერ შესწავლილია სოციალურად დაუცველი ოჯახების საჭიროება. „მინდა განვმარტო ის, რომ სახელმწიფო ეხმარება ყველაზე შეჭირვებულებს. სოციალური მომსახურების სააგენტოს დღეისათვის 1 600 000 ადამიანმა მიმართა. ცხადია, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია ყველას აღმოუჩინოს სოციალური დახმარება, ამისთვის არსებობს კომპენსაციის სხვა საშუალებები“, — განაცხადა ზაზა სოფრომაძემ.

ემზადებიან ახალი სასწავლო წლისთვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, ახალი სასწავლო წლისთვის მზადება აქტიურ ფაზაშია. უმრავლეს საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურული პროექტები მიმდინარეობს, ძირითადად დასრულებულია არსებული სახელმძღვანელოების დახარისხება.

„სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად, საჯარო სკოლების ყველა მოსწავლე სახელმძღვანელოების სრულ პაკეტს მიიღებს. პაკეტი მოიცავს როგორც მაღალი ქულით შეფასებულ, უკვე გამოყენებულ სახელმძღვანელოებს ასევე, ახალ წიგნებს“, — აცხადებენ სამინისტროში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე დღეს თბილისის რამდენიმე სკოლას ეწვია და პირადად გაეცნო არსებული სახელმძღვანელოების მდგომარეობას, დაინტერესდა როგორ მიდის მზადება ახალი სასწავლო წლისთვის და რა საჭიროებები აქვთ სკოლებს. მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის“ პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს უსასყიდლოდ გადაეცემათ სასკოლო სახელმძღვანელოები, ახალი სასწავლო წლიდანაც წარმატებით განხორციელდება, ყველა მოსწავლეს ექნება ხარისხიანი განათლების მიღების საშუალება და აღარ ექნებათ სახელმძღვანელოების შეძენის პრობლემა“.

ანაკლიაში წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა დასრულდა

პროექტის ფარგლებში სატუმბი სადგური, რეზერვუარი და ჭაბურღილები აშენდა, ასევე მოეწყო გადამცემი მაგისტრალური მილსადენი. დასრულებული სამუშაოები, გაერთიანებული წყალმომარგების კომპანიის დირექტორმა ნიკოლოზ ქიზიყურაშვილმა და აზიის განვითარების ბანკის ადგილობრივი მისიის ხელმძღვანელმა ქეით ჯულიანმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერეს და მშენებლობის ხარისხი შეამოწმეს.

ანაკლიაში წყალმომარაგების სისტემა წლების განმავლობაში მოუწესრიგებელი იყო. აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, ადგილობრივი მოსახლეობა და ასევე, იქ ჩასული ტურისტები, რომელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, 24-საათიანი წყალმომარაგებით იქნებიან უზრუნველყოფილნი. სამშენებლო სამუშაოები აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა. პროექტის ღირებულებამ 10 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

ირაკლი ღარიბაშვილი: ბიზნესმენები, მოქალაქეები, ინვესტორები დოლარს ინახავენ, რის გამოც ლარის გაძყარება არ ხდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ლარის კურსთან დაკავშირებით სპეკულაციები მიმდინარეობს და ცრუ მოლოდინებია შექმნილი. ამის შესახებ ღარიბაშვილმა ბათუმში განაცხადა.

პრემიერის განმარტებით, ექსპერტები აცხადებენ, რომ ლარის კურსის რყევებთან დაკავშირებით კრიზისულმა პერიოდმა საქართველოში უკვე გაიარა.

— „რაც შეეხება ლარის კურსის გამყარებას, მე მინდა გითხრათ, რომ სპეკულაციები მიმდინარეობს და ცრუ მოლოდინი არის შექმნილი. მინდა მივამართო ყველას, რომ არ დააბნიოს ამ ცრუ მოლოდინებმა და განცხადებებმა ჩვენი ბიზნესმენები და მოქალაქეები. მე მქონდა საუბარი ეროვნულ ბანკთან, ასევე ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკოსებთან, ექსპერტებთან, რომლებმაც თქვეს, რომ ეს კრიზისული პერიოდი უკვე გადავიარეთ. ახლა ეს არის ემოციური განცხადებებით განპირობებული. ძალიან მარტივი რაღაც ხდება საქართველოში — ადამიანებს აქვთ ცრუ მოლოდინი, რომ ლარის კურსი კვლავ გაუფასურდება შემოდგომაზე, რაც არასწორია. ექსპერტების აზრით, ეს ასე აღარ მოხდება უახლოეს პერიოდში, ვინაიდან კრიზისის პერიოდი უკვე გავიარეთ. მოქალაქეები, ინვესტორები და ბიზნესმენები დოლარს ინახავენ, რაც სწორედ განაპირობებს იმას, რომ ლარის კურსის გამყარება არ ხდება ამ პერიოდში, თუმცა ეს აუცილებლად მოხდება, რადგან, მათ მოუწევთ დღეს თუ ხვალ დოლარის გაყიდვა და ლარის ყიდვა“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრი ბათუმში სასტუმრო „კოლიზეუმის“ გახსნას დაესწრო.

დანაშაულის სტატისტიკა

შინაგან საქმეთა სამინისტრო ივლისის თვის და იანვარ-ივლისის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. როგორც უწყებაში აცხადებენ, აღნიშნული სტატისტიკა ასახავს როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მონაცემებს, რომელიც მოიცავს საქართველოში არსებულ იმ სამინისტროების სტრუქტურაში შემავალ დანაყოფებს, რომლებიც თავიანთი ქვემდებარეობის მიხედვით აწარმოებენ გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეებზე, კერძოდ: შინაგან საქმეთა სამინისტრო, მთავარი პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო.

2015 წლის ივლისის თვეში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულ იქნა 3302 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1378 დანაშაული. შსს-ს ინფორმაციით, დანაშაულის გახსნის პროცენტია 41.73%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -3.62%.

შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით:

2015 წლის ივლისის თვეში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულ იქნა 2111 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1199 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 56.8%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -8.1%;

2015 წლის იანვარ-ივლისის თვეებში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულ იქნა 20438 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 11506 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 56.3%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -4.32%; 2015 წლის იანვარ-ივლისის თვეებში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულ იქნა 14339 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 9536 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 66.5%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -4.81%.

სტიქიით დაზარალებულმა ოჯახებმა ბინები შეიძინეს

13 ივნისის სტიქიით დაზარალებულმა 12-მა ოჯახმა თბილისის მერიის მიერ გადარიცხული თანხით ბინა უკვე შეიძინა.

ჯიბუტების, ახალკაცების და ზანგურაშვილების ოჯახები ახლად შეძენილ ბინებში თბილისის ვიცე-მერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა, ვაკის რაიონის გამგებელმა ლაშა აბაშიძემ და თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა კარლო ლაფერაძემ მოინახულეს.

ჯიბუტების 11-სულიანმა ოჯახმა ანაზღაურება სულადობის მიხედვით აირჩია, ასეთივე ანაზღაურების მეთოდოლოგიას მიანიჭეს უპირატესობა ზანგურაშვილების 3-სულიანმა და ახალკაცების 7-სულიანმა ოჯახებმა.

დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, უკვე მესამე შემთხვევაა, როდესაც დაზარალებულმა ოჯახებმა მათთვის ჩარიცხული თანხიდან ორ-ორი ბინა შეიძინეს.

ამ დროისთვის თბილისის მერიის მიერ გადარიცხული თანხით 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულმა უკვე 12 ოჯახმა შეიძინა ბინა.

20 აგვისტოს მდგომარეობით, თბილისის მერიამ 32 ოჯახს 8 860 396 ლარი გადაურიცხა. მათგან 14-მა ოჯახმა აირჩია თანხის ანაზღაურება სულადობის მიხედვით, ხოლო 18-მა - მათ საკუთრებაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით.

სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ წარმომადგენლებმა დაზარალებულ ოჯახებს საყოფაცხოვრებო ტექნიკის ნაკრები გადასცეს.

მათი განცხადებით, სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“ 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებული ყველაზე რთულ მდგომარეობაში მყოფი 25 ოჯახისთვის შეიძენს ტექნიკის ნაკრებს.

◎ პური ჩვენი არსებისა...

ფქვილის მწარმოებლებს ახალი რეგულაციის დეტალები გააცნეს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, სასტუმრო „ბომონდ გარდენში“ ხორბლის ფქვილის მწარმოებელ-გადამამუშავებელ ბიზნესოპერატორებთან და მსხვილ იმპორტიორებთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელიც ესწრებოდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სააგენტოს უფროსმა ზაზა დოლიძემ მოწვეულ სტუმრებს მთავრობის №376 დადგენილების დეტალები გააცნო და ისაუბრა ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მნიშვნელობაზე, რაც, პირველ რიგში, მომხმარებლის უფლებების დაცვისკენ არის მიმართული.

სააგენტოს წარმომადგენლებმა ბიზნესოპერატორებს მიაწოდეს ინფორმაცია ბაზარზე განთავსებული ხორბლის ფქვილის ეტიკეტირების, დასაშვები ინგრედიენტებისა და ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნების შესახებ.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ბიზნესოპერატორებმა მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხები უშუალოდ იმ პირებისაგან მოისმინეს, ვინც რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს.

საქართველოს მთავრობის №376 დადგენილებით, 1 სექტემბრიდან ამოქმედდება „ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“, რომლის თანახმადაც, ბიზნესოპერატორის მიერ ხორბლის ფქვილის წარმოების, გადამუშავებისა და ბაზარზე განთავსების პირობები იცვლება.

◎ ალმოჩენა

„გრაკლიანის გორის“ საიდუმლო

„ეროვნული მნიშვნელობის გრაკლიანის არქეოლოგიური ძეგლის კვლევის პროცესში ახალი აღმოჩენა გამოვლინდა — ძვ.წ აღ VII საუკუნის ტაძარი, ორი საკურთხეველი და საკურთხევლის პოსტამენტზე დღემდე უცნობი დამწერლობის ერთსტრიქონიანი წარწერა. არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის, პროფესორ ვახტან ლიჩელის აზრით, დღემდე უცნობი წარწერა გრაკლიანის საკურთხეველზე ყველაზე ადრეულია და საქართველოში დამწერლობის გამოყენების 2700 წლის ისტორიას ცხადყოფს“, — ნათქვამია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს განცხადებაში.

გრაკლიანის არქეოლოგიურ ძეგლზე პირველი გზისპირა არქეოლოგიური მუზეუმი მოეწყობა. ამ დროისთვის ადგილზე უკვე დაწყებულია მუზეუმის სამშენებლო და ტერიტორიის ინფრასტრუქტურული მოწყობის სამუშაოები. ასევე იგეგმება ავტოსადგომის მშენებლობა, რომელსაც კულტურის სამინისტრო და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო დააფინანსებს.

ადგილზე აღმოჩენილი არტეფაქტები უნიკალურია და გრაკლიანის უწყვეტი განვითარების ისტორიას ადასტურებს. გრაკლიანის შესახებ მასალები გამოქვეყნებულია მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო გამოცემებში — საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ინგლისში, იტალიაში გერმანიასა და ესპანეთში.

გრაკლიანის უდიდესი კოლექციის მნიშვნელოვანი ექსპონატებია — ოქროს დისკო — ძვ. წ.აღ IV ათასწლეული — მისი ერთადერთი ანალოგი არსებობს ირანში ქალაქ სუზაში, საბეჭდავი — ძვ. წ.აღ IV ათასწლეულით თარიღდება - მისი ანალოგი არსებობს სამხრეთ მესოპოტამიაში, ქალაქ ურუკში და პურის საცხობი ღუმელი, რომლის ზომები იცვლება შენობის მოცულობის შესაბამისად და შემკულია დეკორატიული ელემენტებით.

„გრაკლიანის გორა“ წარმოადგენს მრავალფენიან არქეოლოგიურ ძეგლს, რომელიც ქვის ხანის პერიოდიდან რომაული პერიოდის ჩათვლით, საზოგადოებრივი ცხოვრების 300-ათასწლიან უწყვეტ განვითარებას ადასტურებს. გრაკლიანის გორაზე გამოვლენილ ტერასებზე განლაგებულია საცხოვრებელი სახლები, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, ტაძრები და სამარხები, რომლებიც ძვ.წ. IV — ახ.წ I ათასწლეულებს განეკუთვნება.

გრაკლიანის ისტორიულ მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებს მესამე ტერასაზე გამოვლენილი უნიკალური არქიტექტურული ნაშთი — სატაძრო კომპლექსი (ძვ.წ. 400 — 350 წლები), რომლის სიგანე 25 მეტრია, სიგრძე კი 6 მეტრი. სატაძრო კომპლექსში შემონახულია თიხის თხელი ფენით შელესილი და დეკორით შემკული 2 მეტრის სიმაღლის კედლები, რომლის ინტერიერში სარიტუალო ღუმლები და საკურთხევლებია შემორჩენილი.

გრაკლიანის გორაზე პირველი მონაპოვარი 2007 წელს თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის მშენებლობის დროს გამოვლინდა. გრაკლიანის არქეოლოგიური ძეგლი შიდა ქართლის მხარეში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. იიგოეთისა და სამთავისის ტერიტორიაზე, მდინარე ლეხურას მარჯვენა ნაპირზე წამომართულ გორაზე მდებარეობს.

ნია ფიფია

კარლო კოპალიანი: – ეს არის ამერიკული დემოკრატია?!

„ბრ გამკვირვებია მსგავსი განცხადება, იმიტომ, რომ ჩვენი მეგობარი ქვეყნები ხშირად ისეთ შეფასებებს აკეთებენ საქართველოსთან მიმართებაში, რომლებიც არ შეეფერება სიმართლეს და ამის ბევრი მაგალითი გვაქვს!“ – ასე გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის წევრი კარლო კოპალიანი „რეპორტიორთან“ საუბრისას ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ნიკოლას ბერლინერის მიერ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას.

„ვიღაცა თვალს იბრმავებს და ყურს იყრუებს, რადგან, არ უნდათ, რომ რეალობას შეხედონ და ეს რეალობა არის ის, რომ ქვეყანაში მართლა დემოკრატიული პროცესები მიმდინარეობს და ეს არ უხარიათ! ეს არის ამერიკული დემოკრატია?!“ –გაიკვირვა კარლო კოპალიამა.

ცნობისთვის: ამერიკის შეერთეული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკოლას ბერლინერმა Media.ge-თან გაკეთებულ კომენტარში, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით განაცხადა:

„ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მიაჩნია, რომ სიტყვისა და პრესის თავისუფლება ჯანსაღი დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედია. ჩვენ და საერთაშორისო თანამეგობრობა ვაფასებთ საქართველოს ღია მედიაგარემოს, რომელიც რეგიონში სამაგალითოა. ამდენად, წუხილს იწვევს მოვლენების ისეთი განვითარება, რომელიც მედიის თავისუფლების საფრთხის ქვეშ დაყენების ან მედიაპლურალიზმის დარღვევის შთაბეჭდილებას ტოვებს.

„რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესს ყურადღებით ვაკვირდებით. მედიასაშუალების მონაწილეობით წარმართული ნებისმიერი სასამართლო პროცესი სამართლებრივი პროცედურების უმაღლესი სტანდარტის შესაბამისად უნდა წარიმართოს და ნებისმიერი ქმედება, რომელიც მედიასაშუალების თავისუფლად მუშაობის შესაძლებლობას ზღუდავს, ყურადღებით უნდა იქნას განხილული“, – განაცხადა ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა.

გოგა ხაინდრავა: ნიკოლას ბერლინერის განცხადება შეურაცხმყოფელია!

რეჟისორი **გოგა ხაინდრავა** თვლის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ნიკოლას ბერლინერის განცხადება ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით, არა მარტო შემაშფოთებელი, შეურაცხმყოფელიც კი არის საზოგადოებისთვის.

„ბევრჯერ მითქვამს, რომ აშშ საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია ისევე, როგორც საქართველოა აშშ-ს ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი – რეგიონში. აშშ-ს არ ჰყავს ისეთი ადამიანები, რომლებიც საქართველოში მიმდინარე მოვლენების რეალურ ანალიზს გააკეთებენ და ეს, ბუნებრივია, ძალიან გვაწუხებს ჩვენ, იმიტომ, რომ რეალურად დეზინფორმაციით იკვებებიან. ამის ბევრი მაგალითი გვაქვს უახლესი ისტორიიდან.

მე ვურჩევდი ელჩს, დაინტერესდეს, ვის ეკუთვნის ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის 50%-იანი წილი დ იქნებ საზოგადოებასაც გააგებინოს, იმიტომ, რომ დღემდე ბურუსითაა მოცული ეს საკითხი, გაუგებარია, რატომ იმალება მისი მეპატრონე და ვის ემსახურება „რუსთავი-2“ ამ 50%-იანი წილის ფარგლებში. მე ამ ორგანიზაციის მიმართ მაქვს ჩემი შეხედულება და ვფიქრობ, რომ ეს არის სპეცდანიშნულების ორგანიზაცია, რომელიც არის პარტიული რუპორი და სააკაშვილის ვნებების დაკმაყოფილებას ემსახურება და სხვას არაფერს, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს მედიასთან. გაიგოს, რას ფიქრობენ საქართველოში ამ ტელეკომპანიასთან დაკავშირებით.

ასევე, ბატონმა ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა განგვიმარტოს – ეს მისი პირადი აზრია, რაც „რუსთავი-2“-თან მიმართებაში განაცხადა თუ აშშ-ის მთავრობის პოზიციაა“.

დიანა ლიპარტელიანი

დავით მაღრაძე: საქართველოში სიტყვის თავისუფლებას საფრთხე აღარ ემუქრება

მწერალი **დავით მაღრაძე** საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელს ნიკოლას ბერლინერს ღია წერილით მიმართავს.

„ბატონო ელჩო, ვადასტურებ თქვენდამი ჩემს პატივისცემას და, პირველ ყოვლისა, მსურს, გამოვხატო დიდი მადლიერება ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ საქართველოსთვის გაწეული უმნიშვნელოვანესი დახმარებისა და თანადგომისთვის.

რაც შეეხება თქვენს განცხადებას, რომ „დღეს საქართველოში მედიის თავისუფლების საფრთხის ქვეშ დაყენების ან მედიაპლურალიზმის დარღვევის შთაბეჭდილება იქმნება“, ვიდრე ამასთან დაკავშირებით ჩემს მოსაზრებებს გაგიზიარებთ, მანამდე ერთ ისტორიას გაგიმხელთ.

2009 წლის აპრილის, ნაციონალური მოძრაობის ძალადობრივი რეჟიმის საწინააღმდეგო, მასობრივი საპროტესტო აქციების დაწყების წინა დღეებში შევხვდი თქვენს ერთ-ერთ წინამორბედს, ბატონ ტეფტს, რომელმაც მკითხა, გამოცხადებულ 9 აპრილის აქციაზე თუ რა რაოდენობის მომიტინგეს ველოდებოდით. მე ვუპასუხე, რომ საპროტესტო აქციაზე მომიტინგეთა უპრეცედენტო რაოდენობა შეიკრიბებოდა, დაახლოებით 100 000 ადამიანი. ბატონმა ტეფტმა მითხრა, რომ მისი ინფორმაციით 3-4 ათასიც ვერ შევიკრიბებოდით. 2009 წლის 26 მაისს გადავსებულმა სტადიონმა აჩვენა, ვინ იყო მართალი.

აღნიშნული ფაქტი იმისთვის მოვიხმე, რომ ცხადვყო შემდეგი: როცა პოეტს არ უსმენენ და პოლიტაქტივისტების სჯერათ, ასეთია ხოლმე რეალობასთან ცდომილების ამპლიტუდა.

2010 წლის თებერვალში ღია წერილით მივმართე შეერთებული შტატების დემოკრატიულ საზოგადოებას, სადაც ვწერდი, რომ "საქართველოს ხელისუფლების მოჩვენებითი ანტირუსული ისტერია გამიზნულია მხოლოდ ხელისუფლების შენარჩუნებისთვის, რაც გულისხმობს დასავლეთისა და შეერთებული შტატების უპირობო მხარდაჭერას. უპირობო და უკონტროლო მხარდაჭერა კი, თავის მხრივ, გულისხმობს ნებადართულ ძალადობას“.

საერთაშორისო საზოგადოებრივი, სახელოვნებო წრეებიდან, მათ შორის, შეერთებული შტატებიდან ძალიან საგულისხმო მხარდაჭერა მომწვდა, პოლიტიკური წრეებისთვის კი კვლავ გაუგონარი დარჩა პოეტის სიტყვა.

ბატონო ელჩო, თქვენ ალბათ გსმენიათ, რომ ნაციონალური მოძრაობის ძალადობრივი რეჟიმის დროს საქართველოში გაითელა სიტყვის თავისუფლება, დაილეწა დამოუკიდებელი ტელეკომპანია „იმედი“, ფიზიკურად გაუსწორდნენ ჟურნალისტებს, პოლიტიკურ გადაცემათა ლიცენზიები სადავო გახდა და ა.შ. და ა.შ.

2009 წელს, ავსტრიაში, ქალაქ ლინცში მიმდინარე საერთაშორისო PEN მწერალთა ასოციაციის 75-ე კონგრესის დელეგატების ასამბლეამ (მე გახლავართ ქართული PEN ცენტრის დამფუძნებელი) მიიღო რეზოლუცია და რეზოლუციის სამი ძირითადი პოსტულატი ასე ჩამოაყალიბა: შეწყდეს თავდასხმები ჟურნალისტებზე; შეწყდეს კონტროლი საზოგადოებრივ მაუწყებელზე; საქართველოს მედია გახდეს ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი.

ᲘᲛ ᲐᲕᲐᲓᲡᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ, ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲡ ᲛᲔᲓᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲡᲐᲓᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ.

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲓᲐ: ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ, ᲠᲐᲒᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲠᲠᲝᲠᲘ, ᲮᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐ, ᲬᲐᲠᲗᲛᲔᲣᲚᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ, ᲒᲐᲫᲚᲐᲚᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ, ᲪᲘᲮᲔᲔᲑᲨᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲬᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲔᲓᲘᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ, ᲓᲐᲣᲪᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲫᲐᲚᲐᲫᲔ.

ბატონო ელჩო, ყოველივე ზემოთქმული მაფიქრებინებს, რომ „რუსთავი-2“-ის (ეს ტელევიზია ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს ხელისუფლების განუყოფელი ნაწილი იყო და მუდამ საეჭვო გარემოებაში გადადიოდა ხელიდან ხელში) მეპატრონეებს შორის დავას გაარკვევს მონობიდან გათავისუფლებული დამოუკიდებელი სასამართლო.

სიტყვის თავისუფლება არანაირად არ უნდა ზღუდავდეს საკუთრების უფლებას.

როდესაც შევარდნაძის ხელისუფლება „რუსთავი-2“-ში შეიჭრა და სიტყვის თავისუფლებას რეალური საფრთხე დაემუქრა, მაშინ მე „რუსთავი-2“-ის აქტიურ დამცველთა შორის გახლდით.

თქვენო აღმატებულებავ, გულწრფელად მინდა რომ თქვენი, ვფიქრობ უსაფუძვლო შეშფოთება, დავაცხრო და გითხრათ რომ იყავით მშვიდად, საქართველოში სიტყვის თავისუფლებას საფრთხე აღარ ემუქრება, რადგან ურეიტინგო, პოლიტიკურ-ზნეობრივად გაკოტრებული, ხალხის უნდობლობით დაღდასმული, დაშლილი, დანაწევრებული ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში ვერასოდეს მობრუნდება. ამას საქართველოს მოსახლეობა არ დაუშვებს.

იქნებ სცადოთ პოეტის მოსმენა. სადაც პოეტს არ უსმენენ, დიქტატორის მოსმენა მოუწევთ“, – ნათქვამია დავით მაღრაძის ღია წერილში.

◎ მომავლის იმედით

კახიშვილის სამინისტროში სახვალიო გეგმებზე საუბრობენ

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს კახა კახიშვილს 2015-2017 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის I და II კვარტლების შესრულების ანგარიში წარუდგინა.

ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლებმა დეტალურად განიხილეს სამინისტროში განხორციელებული პროექტები და სამომავლოდ განსახორციელებელი გეგმები წარადგინეს. მინისტრი დაინტერესდა, კონკრეტულად როდის გაიწერება ვადები, რომლის განმავლობაშიც მოხდება აღნიშნული გეგმების განხორციელება. კახა კახიშვილის განცხადებით, დეტალურად უნდა განისაზღვროს თითოეულ პროექტზე პასუხისმგებელი პირი, იმისთვის, რომ სისტემის ევროსტანდარტებამდე მიყვანა მაქსიმალურად ეფექტურად მოხდეს.

„სამინისტროს ხელმძღვანელ პირებთან ერთად განვიხილეთ სამინისტროს სტრატეგია 2015-2017 წლისთვის. კმაყოფილი ვარ შესრულებული სამუშაოთი, მაგრამ ჩემს თანამშრომლებს ვთხოვე, მომავალ პრეზენტაციაზე ძირითადი აქცენტი გააკეთონ არა იმაზე, რაც გაკეთდა, არამედ, რაც არის გასაკეთებელი. ჩვენ უფრო დეტალურად უნდა გავწეროთ კონკრეტულად ის ვადები, რა ვადებშიც ვაპირებთ სისტემის გაუმჯობესებას და ასევე მივუთითოთ, ვინ იქნება პასუხისმგებელი პირი, რომ მაქსიმალურად ეფექტურად შევძლოთ სისტემაში ევროსტანდარტის დამკვიდრება,“ – განაცხადა კახა კახიშვილმა.

მინისტრის გადაწყვეტილებით, სამინისტროს სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით შემდეგი სამუშაო შეხვედრა ერთ თვეში გაიმართება.

მინისტრის მოადგილემ შესაძლოა, თანამდებობა დატოვოს

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს მარიამ ვალიშვილის სემეკის წევრობა სურს. როგორც ვალიშვილმა განაცხადა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან განცხადებების მიღების პროცესი დაახლოებით ორი თვეა, დაიწყო. ვალიშვილის თქმით, საჭიროდ ჩათვალა, რომ ამ შესაძლებლობით ესარგებლა, განცხადება შეიტანა და კონკურსში მონაწლეობის თაობაზე საკუთარი სურვილი დააფიქსირა.

„ენერგეტიკაში, რეფორმის თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება არის ის, რომ ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების ეტაპზე ვიმყოფებით. ეს მოლაპარაკებები მიმდინარეობს და, შესაბამისად, გვაქვს გარკვეული ხედვები ევროკავშირში ინტეგრაციასთან მიმართებაში იგივე მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოების თვალსაზრისით. ვფიქრობ, რომ მარეგულირებელ კომისიაში ძალიან საინტერესო სამუშაო იქნება განსახორციელებელი. ეს ის მიმართულებაა, რომელშიც მინდა გამოცდილება მივიღო. საჯარო და კერძო სექტორში მიმუშავია. მარეგულირებელი კომისია კი ის ორგანოა, სადაც გამოცდილება არ მაქვს. მინდა, რომ დაგროვილი პრაქტიკა და გამოცდილება ამ ეტაპზე მარეგულირებელ კომისიაში გამოვიყენო“, – განაცხადა ვალიშვილმა, რომელსაც სემეკი-ის წევრობის შემთხვევაში მინისტრის მოადგილის თანამდებობის დატოვება მოუწევს.

ინტერპრესი

„მარტივად გაამართლებენ – საჩქარო იყო საქართველოს გაწევრიანება და MAP-ის დრო არ რჩებოდა!“

როგორც ვიუწყებოდით, ამერიკელი პოლიტოლოგი და სტრატეგიული კვლევითი ცენტრის Heritage Foundation-ის ანალიტიკოსი, ლუკ კოფი ხაზგასმით ამბობს, რომ საქართველო აშშ-ის ერთ-ერთი საუკეთესო მოკავშირეა ევროპაში. მისივე თქმით, ევროატლანტიკურ რეგიონში მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა გამოხატავს მსგავს ენთუზიაზმს ნატოს მიმართ, როგორც საქართველო – მიუხედავად იმისა, რომ ის ალიანსის წევრი ჯერ არ არის.

„ნატო-საქართველოს კავშირები ამაზე ახლო არასოდეს ყოფილა. ნატოს ბოლო სამიტის დროს, ალიანსმა მოიწონა „ნატო-საქართველოს პაკეტი“, რომელიც საქართველოს თავდაცვით და ალიანსთან თავსებადობის შესაძლებლობებს გააძლიერებს. ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი წლის ბოლოს ვაზიანის საწვრთნელ ტერიტორიაზე თბილისთან ახლოს გაიხსნება. გასულ თვეს, საქართველომ უმასპინძლა ნატოს სამხედრო სწავლება Agile Spirit-ს, რომელშიც ბულგარეთიდან, საქართველოდან, ლატვიიდან, ლიტვიდან და რუმინეთიდან 250-მა სამხედრომ მიიღო მონაწილეობა“, – წერს ლუკ კოფი.

„აშშ უნდა დაეხმაროს საქართველოს, დაიცვას საკუთარი თავი. თითოეულ ქვეყანას აქვს უფლება, დაიცვას საკუთარი თავი. აშშ-მა უნდა მიჰყიდოს საქართველოს თავდაცვითი ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება. საქართველო რუსეთის მხრიდან აგრესიის მუდმივი საფრთხის ქვეშაა. აშშ-მა საჯაროდ უნდა განაცხადოს, რომ გაწევრიანების სამოქმედო გეგმა აუცილებელი არ არის ალიანსში გასაწევრიანებლად“, – ასკვნის ლუკ კოფი.

2016 წლის ივლისში პოლონეთში დაგეგმილ ნატოს მომავალ სამიტამდე, რომელზეც საქართველო დიდ იმედებს ამყარებს, საქართველოს მთავრობის გაცხადებული პოლიტიკა სწორედ MAP-ის მოთხოვნაა. თუმცა, ამის მიუხედავად, ანალიტიკოსების განცხდებით, წინასწარ რთულია იმის თქმა, აშშ-ის პრეზიდენტი, სახელმწიფო მდივანი და თავდაცვის მდივანი საჯაროდ განაცხადებენ იმას, რომ საქართველოს ნატოში გასაწევრიანებლად MAP-ი არ სჭირდება.

MAP-ის მინიჭების გარეშე გახდება თუ არა საქართველო ალიანსის წევრი, ეს მხოლოდ საქართველოსა და 28 მოკავშირე ქვეყნის გადასაწყვეტია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკეთა განცხადება, რომ ნატოს მომდევნო სამიტის მიზანს საქართველოს, მაკედონიის, ბოსნიისა და მონტენეგროს ალიანსში გაწევრიანება უნდა წარმოადგენდეს. მევლუთ ჩავუშოღლუს განცხადებით, თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს ალიანსში გაწევრიანებას.

ექპერტი საერთაშორისო საკითხებში, თორნიკე შარაშენიძე აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში თუკი ნატოს წევრი ქვეყნები მიიღებენ გონივრულ გადაწყვეტილებას, ასეთ შემთხვევაში MAP-ის გარეშე საქართველოს მიიღებენ ნატოში.

„ამას მარტივად გაამართლებენ იმით, რომ საჩქარო იყო საქართველოს გაწევრიანება და MAP-ის დრო არ იყო. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მაგრამ ეს ვერ მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი საქართველო იქნება დაშლილი და გახლეჩილი. ქვეყანა, რომელსაც არაფრის თავი არა აქვს, არავის არ სჭირდება. ასეთ შემთხვევაში ასეთ ქვეყანას მიიღებენ იქ, სადაც ასეთი ქვეყნების ადგილია და ეს არის ევრაზიის კავშირი“, – აცხადებს შარაშენიძე.

მისივე თქმით, იმისთვის, რომ 2016 წლის ივლისში პოლონეთში დაგეგმილ ნატოს მომავალ სამიტამდე საქართველოსთან მიმართებაში პოზიტიური გადაწყვეტილება იქნას მიღებული, ამისთვის საჭიროა აქტიური მუშაობა ბერლინში.

„დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს საკითხი ბერლინში გაჩერებულია. ბერლინთან მუშაობა წინა ხელისუფლების დროსაც და ახლაც არის ჩაგდებული. სამწუხაროდ, ბოლო 10 წლის განმავლობაში ბერლინში არ გვყოლია ისეთი ძლიერი ელჩი, ვინც დაძრავდა საქართველოს საკითხებს.

ბერლინის მხარდაჭერა არის ძალიან მნიშვნელოვანი, ვინაიდან ბერლინის პოზიციას უყურებს საფრანგეთი. თუ ბერლინი იქნება ჩვენთან, ეს ნიშნავს, რომ მაგრად ვიმუშავეთ, მაგრად მუშაობას კი, ყველა აფასებს. რაც შეეხება დიდი ბრიტანეთს, ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ არის, რადგან ყოველთვის გააკეთებს იმას, რასაც ამერიკა სთხოვს“, – აცხადებს თორნიკე შარაშენიძე.

უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტის შორენა ლორთქიფანიძის განცხადებით, მთავარია ამ გადაწყვეტილების შესახებ ალიანსის წევრების კონსოლიდაცია და ამ გადაწყვეტილებებზე ბეჭედის დარტყმა. მისივე შეფასებით, თუ ალიანსი იტყვის, რომ MAP-ის გარეშეც შესაძლებელია საქართველოს ალიანსში გაწევრიანება, ძალიან ადვილად იქნება გადაწყვეტილება მიღებული საქართველოს გაწვერიანებასთან დაკავშირებით.

– როგორც ცნობილია, მინისტერიალამდე საქართველოს მთავრობას ღიად აქვს გაცხადებული, რომ ითხოვს MAP-ს. სწორედ, აქედან გამომდინარე, ვფქრობ, რომ საქართველოსთან მიმართებაში გადაწყვეტილება იქნება მიღებული. იმედი მაქვს, ჩვენი დიპლომატია ამ მიმართულებით აქტიურად იმუშავებს“, – აღნიშნა შორენა ლორთქიფანიძემ.

აღსანიშნავია, რომ ალიანსის პრაქტიკაში არსებობს პრეცედენტი, როდესაც MAP-ის გარეშე მოხდა ქვეყნების ალიანსში გაწევრიანება, მაგრამ მაშინ არ არსებობდა ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა, როგორიც არის MAP-ი. ვაშინგტონის 1999 წლის სამიტის შემდეგ არც ერთი ქვეყანა MAP-ის გარეშე ალიანსში არ გაწევრიანებულა.

უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ MAP-ი არის ისეთი ინსტუმენტი, რომლის გვერდის ავლით ნატოში ინტეგრაცია შეუძლებელია.

„ჩვენ გვაძლევენ დამატებით დავალებებს, რომ მივიდეთ გაწევრიანების სამოქმედო გეგმამდე. MAP-ის გარეშე ცოტა რთულია ნატოში გაწევრიანება და არადა მგონია, რომ ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა და თვითონ ნატოს საბჭომ ეს გადაწყვეტილება მიიღოს. მაშინ ალიანსმა უნდა გამოაცხადოს, რომ MAP-მა უკვე შეასრულა თავისი ისტორიული მისია, რომ ნატოს აღარ სჭირდება ეს სტრუქტურა. ამის შემდეგ, კი ბატონო, შეიძლება MAP-ის გარეშე მიიღონ ეს გადაწყვეტილება.

ზოგადად, ნატოში გაწევრიანების ეს მოდელი – MAP-ი საკმაოდ ეფექტურია. ეს არის მოსამზადებელი ეტაპი ნატოს წევრი კანდიდატი სახელმწიფოსთვის. მაგალითად, ბულგარეთი და რუმინეთი ალიანსში MAP-ის გარეშე მიიღეს, მაგრამ ამან ბევრი პრობლემები გააჩინა. MAP-ის შემოღებამ აჩვენა, რომ ეს არის ეფექტური მექანიზმი. ეჭვი მეპარება, რომ ვარშავის სამიტამდე, ან შემდეგ სამიტზე ეს პროცედურა შეცვალონ“, – განაცხადა ვახტანგ მაისაიამ.

თამთა ქარჩავა

◎ რა მოელის უკრაინას?

ვიეტნამის ომის მორევში?

კიევი და ვაშინგტონი უკრაინის ორად გახლეჩის საკითხს განიხილავენ?

რა მისია უნდა შეასრულოს ამერიკის პროტექციით უკრაინის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მოკალათებულმა მიხეილ სააკაშვილმა?

პროფესორი სტივენ კოენი იძლევა გაფრთხილებას, რომ უკრაინის შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები ეშვება ვიეტნამის ტიპის ომის მორევში. პროფესორი ასევე ვარაუდობს, რომ ვაშინგტონი და კიევი მართლაც გეგმავენ დონბასის სეპარატისტული რეგიონების გარიყვას უკრაინიდან.

პროფესორის თანახმად, ეს იდეა უკვე 3-4 თვეა, მუსირებს და ძალას იკრეფს კიევსა და ვაშინგტონში, ჩურჩულის დონეზე, დახურულ კარს მიღმა, კულუარებში: **„ისინი ამბობენ რომ ხომ არ იქნება უკეთესი უკრაინისთვის (იგულისხმება უკრაინა, როგორც ნატოს წევრი ან მისი მოკავშირე), თუ ჩვენ (ამერიკელი ნეოკონსერვატორები და უკრაინის მთავრობა) უბრალოდ ხელს ავიღებთ დონბასზე. ის ხომ რუსული რეგიონია, ეთნიკურად რუსული და ბუნებრივად დაკავშირებული რუსეთთან, ხოლო მისი ეკონომიკა ყოველთვის იყო რუსეთზე დამოკიდებული“.**

ისინი აცნობიერებენ, რომ ვერ მოიგებენ დონეცკისა და ლუგანსკის მოსახლეობის გულს და ვერც სამხედრო ძალის მეშვეობით სძლევენ მათ. პროფესორის თვალთახედვით, ისინი ამბობენ: **„უბრალოდ მოვიშოროთ თავიდან“. დღესდღეობით ზოგიერთი ამერიკელი გადაწყვეტილების მიმღები პირი და უკრაინელი ულტრანაციონალისტები განიხილავენ ორი უკრაინის არსებობის შესაძლებლობას.**

ამ ვითარებაში ბუნებრივად ჩნდება კითხვა: **რა მისია უნდა შეასრულოს ამერიკის პროტექციით უკრაინის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მოკალათებულმა მიხეილ სააკაშვილმა?**

ხომ არ მეორდება უკრაინაში ქართული სცენარი? მოუწევს თუ არა უკრაინას ტერიტორიების დათმობა ისევე, როგორც ეს 2008 წელს აგვისტოს ომის შედეგად საკაშვილის პრეზიდენტობის დროს საქართველოში მოხდა? ამ კითხვებზე პასუხს საზოგადოება უახლოეს მომავალში საკუთარი თვალით იხილავს.

sputniknews.com

◎ „ანტიდემოკრატიული საარჩევნო გარემო“

არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები 2015 წლის ოქტომბერში დაგეგმილ შუალედურ არჩევნებს ბოიკოტს უცხადებენ

როგორც ოპოზიციური პარტიების ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი, ბოიკოტის მიზეზია „ანტიდემოკრატიული საარჩევნო გარემო“. ოპოზიციური პარტიების განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„წლების მანძილზე საქართველოში მწვავე საკითხს წარმოადგენდა საარჩევნო რეფორმის გატარება, რომელიც მისაღები იქნებოდა პოლიტიკური სპექტრისა და ფართო საზოგადოებისთვის. ამ მიზეზის გამო არაერთი არჩევნების ლეგიტიმურობა არაერთხელ დამდგარა ეჭვქვეშ, რაც უდავოდ შემაფერხებელი გარემოებაა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში. დვევანდელი ხელისუფლება, როდესაც თავად წარმოადგენდა ოპოზიციას ამ დოკუმენტის ხელმომწერ პარ-

ტიებთან ერთად დაპირებას იძლეოდა, რომ გატარდებოდა ფართომასშტაბიანი საარჩევნო რეფორმა. 2010 წელს 8 ოპოზიციურმა პარტიამ მოამზადა და გამოაქვეყნა საარჩევნო კოდექსის ერთობლივი პროექტი, რომელსაც ხელს აწერდნენ დღევანდელი მმართველი კოალიციის წევრი პარტიებიც. სამწუხაროდ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ დაივიწყა საკუთარი პროექტი და ბოლომდე უგულებელყო მისი პრინციპები, მათ შორის: საარჩევნო სისტემის რეფორმა, საარჩევნო ადმინისტრაციის პარიტეტი, ამომრჩეველთა ბიომეტრიული სიები, საარჩევნო არბიტრაჟი და სხვ. 2015 წლის გაზაფხულზე ხელისუფლებამ უპასუხოდ დატოვა ქვეყნის ყველა ოპოზიციური (საპარლამენტო და არასაპარლამენტო) პარტიის, არასამთავრობო ორგანიზაციების და პრეზიდენტის მიერ მხარდაჭერილი პროექტი საარჩევნო სისტემის რეფორმის შესახებ. რეალურად 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ მივიღეთ არა საარჩევნო რეფორმა არამედ კიდევ უფრო ანტიდემოკრატიული საარჩევნო გარემო.

მიგვაჩნია, რომ ამ პირობებში არანაირი აზრი არა აქვს 2015 წლის ოქტომბერში დაგეგმილ შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას (მარტვილის და საგარეჯოს ოლქებში) და ზემოთქმულიდან გამომდინარე: ბოიკოტს ვუცხადებთ პარლამენტის შუალედურ არჩევნებს. მოვუწოდებთ ყველა საპარლამენტო და არასაპარლამენტო პარტიას, შემოუერთდეს წინამდებარე განცხადებას; მოვუწოდებთ ხელისუფლებას, აღდგენილ იქნეს ინტერპარტიული ჯგუფის ტრადიციული, დემოკრატიული ფორმატი: საარჩევნო კოდექსის განხილვაზე მოწვეულ იქნეს ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი პარტია, პროცესის მოდერნირება განახორციელოს რომელიმე ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ და უმოკლეს ვადებში მიღებული იქნეს გადაწყვეტილება მაჟორიტარული სისტემის გაუქმების, საარჩევნო ადმინისტრაციის პარიტეტის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ“, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებას ხელს შემდეგი პარტიები აწერენ: „ახალი მემარჯვენეები“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“, „ევროპელი დემოკრატები“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „თავისუფალი საქართველო“, „ლიბორისტული პარტია“, „რეფორმატორები“, „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის“, „ტრადიციონალისტთა კავშირი“, „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“ და „ძალოვან ვეტერანთა პოლიტიკური პარტია“.

ინტერპრესი

◎ ალიარება

„ენგურჰესის“ თაღოვან კაშხალს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

ძვეყნის ინდუსტრიული მემკვიდრეობის განვითარების მიზნით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ „ენგურჰესის„ თაღოვან კაშხალს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. „ენგურჰესი“ ქვეყნის ის პირველი ინდუსტრიული ძეგლი იქნება, სადაც სამუზეუმო-საინფორმაციო სივრცე და ვიზიტიორთათვის ენგურზე გადასახედი პლატფორმები მოეწყობა. პროექტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ენერგეტიკის სამინიტროსა და შპს „ენგურჰესის“ ხელშეწყობითა და თანადგომით განხორციელდება.

ამასთან დაკავშირებით, ქალაქ ჯვარში, „ენგურჰესის“ თაღოვანი კაშხლისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების ცერემონია გაიმართება. ვიცე-პრემიერი, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე ხელს მოაწერენ ინდუსტრიული მემკვიდრეობის გამორჩეული ძეგლის ეროვნული კატეგორიის მნიშვნელობის განსაზღვრის შეთანხმებას.

„ენგურის ჰიდროელექტროსადგური უნიკალური ტექნიკური და საინჟინრო ნაგებობების ურთულესი კომპლექსი და უდიდესი ჰესია სამხრეთ კავკასიაში, რომელიც დაბა ჯვარიდან შავ ზღვამდე, ათასამდე კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული. ჰიდროელექტროსადგურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია კაშხალი, რომლის საერთო სიმაღლე 271.5 მეტრი, ხოლო განივი სიგრძე 728 მეტრია; ცის თაღის ფორმის კაშხალი, მისი სიმაღლით, მსოფლიოს თაღოვანი კაშხალების ხუთეულში შედის. ენგურზე ჰესის მშენებლობის დაწყებას საფუძვლად ნიკო ნიკოლაძის სურვილი და იდეა უდევს, რომელზეც მსჯელობა 20 წლის განმავლობაში უშედეგოდ მიმდინარეობდა. ნახევრსაუკუნოვანი ფიქრისა და მსჯელობის შემდეგ, ჰესის მშენებლობის გადაწყვეტილება, მოგვიანებით, ტერიტორიის კველვისა და დეტალური დაზვერვის შედეგად მიიღეს. საბოლოოდ, ადგილზე სამშენებლო სამუშაოები 1961 წელს დაიწყო და 1977 წელს დასრულდა.



◎ სოციალური სპეკულაცია

SALE თუ ქართული მარკეტინგული დარდუბალა?

„თბილისში მთელი რიგი მაღაზიებია, სადაც ოთხი წლის წინანდელ სამოსს ყიდიან - ფასს მოუმატებენ, მერე დააკლებენ და ასე დაუსრულებლად“.

თბილისის ქუჩებში მაღაზიის ვიტრინები უკვე აჭრელდა ფასდაკლების მაუწყებელი წარწერებით. იმაზე კარგი რა უნდა იყოს, თუ ძვირად ღირებულ სამოსს 50-80% -იანი ფასდაკლებით შეიძენ, თუმცა, სხვა საკითხია, შეგულებულ ნივთს მართლა ფასდაკლებით ყიდულობ, თუ საქართველოში სიტყვა ფასდაკლება კლიენტის მოსაზიდად გამოყენებული ფანდია. მარკეტინგის სპეციალისტების შეფასებით, საქართველოში საცალო გაყიდვების ბაზარი ჯერ კიდევ შორს არის თანამედროვე სტანდარტებისგან, ფასდაკლებაც ჩვენი, ქართული მეთოდით მუშაობს. ქართული ფასდაკლების სქემა მარტივია - მაღაზიის მენეჯმენტი კონკრეტული კოლექციის საწყის ფასს კიდევ უფრო აძვირებს, რამდენიმე დღის შემდეგ კი ამავე პროდუქციაზე ფასდაკლებას აცხადებს. კლიენტი ფიქრობს, რომ სამოსი ხელსაყრელ ფასად შეიძინა, სინამდვილეში კი, ასე არ არის. მსგავს მარკეტინგულ აფერაში ბევრი ჩვენგანი არაერთხელ დარწმუნდა.

ნათია ჯინჯოლავა, მარკეტინგის სპეციალისტი : — როგორც წესი, უცხოეთში ბრენდული მაღაზიები მას შემდეგ, რაც კოლექციის გაყიდვებიდან 100-150%-იან მოგებაზე გავლენ, დარჩენილ პროდუქციაზე ფასდაკლებას აცხადებენ. ასეთ დროს, 100 დოლარად ღირებული ნივთის შეძენა ორ დოლარადაც არის შესაძლებელი. მერწმუნეთ, არც ერთი ბრენდული მაღაზია, ახალ სეზონზე გასული წლის კოლექციას გასაყიდად არ გამოიტანს. ეს მათთვის პრესტიჟის საკითხია. ამასთან, ძველ კოლექციას შენახვა ხომ უნდა — საწყობში ადგილს იკავებს, მოვლა სჭირდება. შესაბამისად, ფირმას ურჩევნია ნებისმიერ ფასად გაყიდოს დარჩენილი პროდუქცია და მოიცილოს, ხოლო მის ადგილზე ახალი კოლექცია შემოიტანოს, რომელიც უკეთ გაიყიდება. სამწუხაროდ, თბილისში მთელი რიგი მაღაზიებია, სადაც ოთხი წლის წინანდელ სამოსს ჰყიდიან - ფასს მოუმატებენ, მერე დააკლებენ და ეს დაუსრულებლად გრძელდება. წმინდა მარკეტინგული თვალსაზრისით, მსგავსი ფორმა წამგებიანია.

— ეს სფერო როგორ უნდა დარეგულირდეს?

— თავად მომხმარებელმა უნდა დაარეგულიროს და არ უნდა იყიდოს ასე „ფასდაკლებული„ პროდუქტი. როცა მაღაზია 70%-იან ფასდაკლებას აცხადებს და 200-ლარიან ნივთს 165 ლარად ჰყიდის, ეს ფასდაკლება არ არის. მე პირადად, ბოლო 6 წელია, რაც სამოსს საზღვარგარეთ ვყიდულობ. როცა 2 000-დოლარიან საათს 305 ლარად შეიძენ, ტრანსპორტირების ხარჯის ჩათვლით, ესაა ფასდაკლება.

— საქართველოში ძირითადად მხოლოდ სეზონური ფასდაკლებებია. ევროპაში კი როგორც ვიცი, ერთჯერად აქციებსაც მიმართავენ.

— ეს კლიენტის მოსაზიდად კეთდება. მაგალითად, ფასდაკლებით შეიძინეთ პერანგი, მაგრამ არ გაქვთ შესაფერისი ქვედაბოლო, თუმცა, მასზე ფასდაკლება არ არის. იმ ბრენდს იმდენად ეჩვევით, რომ ხშირად ფასდაკლების გარეშეც ყიდულობთ. ადამიანის ბუნებაა ასეთი, როცა შენთან დათმობაზე მოდიან, სიურპრიზს გიკეთებენ, შენც ლოიალობას იჩენ მათ მიმართ. სამწუხაროდ, ჩვენთან მხოლოდ ეს პრობლემა არ დგას. მეორე საკითხია, რომ ბევრი ბრენდის სამოსი და აქსესუარები ევროპაში უფრო იაფი ღირს, ვიდრე ჩვენთან. მნიშვნელოვანია, რომ კომპანიები საკუთარ პროდუქციის ფასებს კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობის შესაძლებლობებს არგებენ. მაგალითად, „შანელის“ კაბა, რომელიც პარიზში 17 ათასი ევრო ღირდა, სინგაპურში, ზუსტად იგივეს შეძენა 8 000 ევროდ იყო შესაძლებელი. ჩვენთან წარმოდგენილი ფასები კი ქართულ რეალობაში არსებულ შემოსავალს არ შეესაბამება.

ფსიქოლოგი **სოფი ხარატი** წლებია, რაც გერმანიაში ცხოვრობს და ქართულ-გერმანულ ფასდაკლებებს შორის არსებული სხვაობის გარდა, მარკეტინგულ ხრიკებზეც საუბრობს, რაც მომხმარებლის ფსიქოლოგიაზე კარგად გათვლილი და მორგებული ხერხია: „საქართველოში ამ თემისადმი მაღაზიების დამოკიდებულება ყოველთვის მაკვირვებდა. როგორც წესი, ჩვენთან პროდუქცია წლების განმავლობაში დევს დახლზე, ხოლო ფასი ყოველთვის ძვირია. ფაქტობრივად, წარმოდგენილი ფასებით მათი რეალიზება შეუძლებელია. უცხოეთში საპირისპირო სურათია, აქ მთავარია, კოლექცია მთლიანად გაიყიდოს და ეს მანამ უნდა მოხდეს, სანამ კონკრეტული კოლექცია სეზონიდან გავა. შემდეგ მომხმარებელი იმ კოლექციის მიმართ ინტერესს კარგავს. გერმანიაში დიდი „სეილი“ წელიწადში ორჯერ ცხადდება და 50-70%-იანი ფასდაკლებები 1-1,5 თვე გრძელდება, რაც დიდი თანხის ბრუნვას იწვევს. რაც შეეხება ფსიქოლოგიურ მომენტს, წითლად აჭრელებული მაღაზიის ვიტრინები, წარწერები დიდი ასოებით — SALE — ნორმალურია. მსგავსი ხრიკი მომხმარებელში დიდ ინტერესს იწვევს და თუნდაც 10 %-იანი ფასდაკლება იყოს, მაინც იზიდავს. მსგავსი ფასდაკლებები ხელსაყრელია საშუალო ფენისთვის. ვინც მდიდარი არ არის ფასდაკლების დროს კარგი ნივთების შეძენა შეუძლია. საბოლოო ჯამში, მომხმარებელი და ფირმაც კმაყოფილია. საგულისხმოა, რომ უცხოეთში გაცილებით დახვეწილი აქსესუარები, სამოსი, ფეხსაცმელები აცვიათ და ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მდიდარია. უბრალოდ, იქ სწორი მარკეტინგული გათვლა მოქმედებს, კლიენტს არ ატყუებენ, ეს კი ნდობას იწვევს და ორივე მხარე კმაყოფილი რჩება.“

სალომე გოგოხია

P. S. ძართული მარკეტინგული ქაოსის პარალელურად, ძალიან ბევრმა მომხმარებელმა სასურველი ნივთის იაფად შესაძენად ახალი გზა გამოძებნა — ინტერნეტ-მაღაზიები, სადაც შეგულებული ნივთის შეძენა ხელსაყრელ ფასად არის შესაძლებელი. ამგვარად, ქართველ მომხმარებელს არჩევანის საშუალება აქვს - მოიტყუოს თავი და ვითომ ფასდაკლებული სამოსი იყიდოს ან ონლაინ, გაცილებით მცირე დანახარჯით „იშოპინგოს“. თუმცა, ამ მარკეტინგულ ქაოსში ისეთი მაღაზიებიც მოიძებნება, რომლებიც მომხმარებელს რეალურ ფასდაკლებას სთავაზობს. მართალია, მათი რაოდენობა მცირეა და შესაძლოა, ბევრ თქვენგანს მათ შესახებ არც სმენია; მე პირადად მსგავსი ფასდაკლებით რამდენჯერმე კიდეც ვისარგებლე. ურიგო არ იქნება, თუ მათ დანარჩენი მაღაზიებიც მიბაძავენ და ამ გზით მომხმარებლის ნდობასაც მოიპოვებენ.

ს. გ.

◎ ალიან-ჩალიანი

ლიტვაში აჭარის კურორტებს უნდა ვენ რეკლამას

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა სხვა სამიზნე ქვეყნებთან ერთად სარეკლამო კამპანია ლიტვის რესპუბლიკაშიც აწარმოა. ლიტვის ტურისტულ ბაზარზე მუშაობა შარშან, ვილნიუსიდან საქართველოს მიმართულებით დანიშნული რეგულარული ფრენების შემდეგ დაიწყო. უკვე მეორე წელია ლიტვაში რეგიონის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა პიარ-აქტივობა ხორციელდება.

ზაფხულის მოახლოებამდე ორი თვის მანძილზე ლიტვის სამ ქალაქში (ვილნიუსი, კლაიპედა და კაუნასი) მოსახლეობას აჭარა-ბათუმის ტურისტული დესტინაციის შესახებ სარეკლამო ხასიათის ბილბორდების, ავტობუსებზე განთავსებულ სარეკლამო აფიშებისა და სხვადასხვა ტიპის რეკლამის ხილვა შეეძლოთ. გარდა გარე რეკლამებისა, დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა სამი საინფორმაციო ტური ლიტველი ჟურნალისტებისა და ტურ-ოპერატორებისთვის. პრეს ტურის შედეგად წამყვან მედია საშუალებებში 7 სარეკლამო ხასიათის სტატია და 1 ტელესიუჟეტი მომზადდა, რომელთა წვდომამ 2 749 723 შეადგინა. 2015 წლის იანვრის თვეში, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო ლიტვის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში Advanture 2015, სადაც ცალკე სტენდში წარადგინა რეგიონის ტურისტული პოტენციალის ამსახველი საინფორმაციო-სარეკლამო მასალები. აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტის სტენდი განსაკუთრებული ხალხმრავლობით გამოირჩეოდა.

ლიტვის რესპუბლიკაში აჭარა-ბათუმის დესტინაციის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული აქტივობები უკვე დადებითი შედეგებით აისახა ტურიზმის სტატისტიკაზე, კერძოდ, 2015 წლის იანვარ-ივლისში აჭარის განთავსების ობიექტებში 5,5%-იანი ზრდა დაფიქსირდა. ხოლო რაც შეეხება გასულ წელს, 2014 წელს 2013 წელთან შედარებით 4,7%-იანი ზრდა შეინიშნებოდა.

ინტერპრესი

პუტინმა ყირიმელი თათრები გააღიზიანა

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი 17 აგვისტოს ჩავიდა ანექსირებულ ყირიმში, სადაც მისი მონაწილეობით სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა.

ვლადიმერ პუტინის ვიზიტმა რუსეთის მიერ ოკუპირებულ ყირიმის ნახევარკუნძულზე, უკრაინის ხელისუფლების გარდა, ადგილობრივი ყირიმელი თათრებიც ძალიან აღაშფოთა. რუსეთის ლიდერმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები გააფრთხილა, რომ არც კი იფიქრონ სპეციალურ სტატუსზე. პუტინს არც უკრაინის ხელისუფლებაში „უცხო ქვეყნის მოქალაქეების“ ყოფნა დავიწყებია, რასაც კრემლის ლიდერმა „სამარცხვინო პრაქტიკა“ უწოდა.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ტურიზმისა და განვითარების წასახალისებლად სამდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა ანექსირებულ ყირიმში, სადაც რეგიონში მცხოვრებ უმცირესობებს, მათ შორის, თათრებს შეხვდა. 17 აგვისტოს სოფელ ოპოზენოვოეში დიდი ამალით მისულმა პუტინმა ყირიმელი თათრების დელეგატებთან შეხვედრაზე ხაზი გაუსვა „ინტერეთნიკური ურთიერთობის სიფაქიზეს“ და შემდეგ დასძინა, „ერთი რომელიმე ჯგუფისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭება უკიდურესად საშიშად მიმაჩნიაო“. ამასთან, ვლადიმერ პუტინის მესიჯი ფარულ მუქარასაც შეიცავდა. კერძოდ, რუსეთის პრეზიდენტმა ივარაუდა, რომ უფლებადამცველ აქტივისტებს რეგიონში უცხო ქვეყნები აფინანსებენ „ვითარების დესტაბილიზაციისათვის“, რასაც, პუტინის განცხადებით, მოსკოვი არ დაუშვებს.

„ყირიმელი თათრების პრობლემას იყენებენ როგორც მხოლოდ ინსტრუმენტს ამ პირადული ამბიციის მისაღწევად“, — აღნიშნა ვლადიმერ პუტინმა და ყირიმში მცხოვრებ თათრებს, რომლებიც ანექსირებული ნახევარკუნძულის მოსახლეობის ათ პროცენტზე მეტს შეადგენენ, ვლადიმერ პუტინის ამ სიტყვებმა კიდევ ერთხელ გაახსენა 1944 წლის სტალინური რეპრესიები და დეპორტაცია.საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს, დეპორტირებული ყირიმელი თათრები ყირიმში დაბრუნდნენ და დაიწყეს საკუთარი კულტურის აღორძინება უკრაინის სახელმწიფოს შემადგენლობაში. მათ ჰქონდათ საკუთარი წარმომადგენლობითი ორგანო, მეჯლისი და ტელეკომპანია ART,რომელმაც მაუწყებლობა 2014 წელს შეწყვიტა, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და ნახევარკუნძულის რუსეთთან უკანონო მიერთების შემდეგ. მრავალი თათარი აქტივისტი ან მოკლეს, ან უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა, ხოლო თემის ორ გამორჩეულ ლიდერს, მათ შორის, უკრაინის პარლამენტის, „ვერხოვნა რადას“, წევრ მუსტაფა ჯემილიოვს ყირიმში ჩასვლა ეკრძალება.

„დღევანდელი სირთულეების მიუხედავად, ვითარება უკრაინაშიც გამოსწორდება, იქაც დაიწყება პოზიტიური განვითარება და შეწყდება ის სამარცხვინო პრაქტიკა, რომელსაც დღეს ვხედავთ“... მიაჩნია ვლადიმერ პუტინს თუმცა რუსეთს, „მათრახის“ გარდა, არსენალში, როგორც ყოველთვის, „თაფლაკვერის“ პოლიტიკაც აქვს. ყირიმელი თათრების გულის მოსაგებად რუსეთმა, სხვა ეთნიკური უმცირესობების მსგავსად, თათრებსაც შესთავაზა რეაბილიტაციის კანონი, რაც მათ ენას ოფიციალურ სტატუსს ანიჭებს. რუსეთის პრეზიდენტმა ყირიმში შეხვედრის დროს ნახევარკუნძულზე ხანგრძლივი ბინადრობის მქონე თათრებს რუსეთის მოქალაქეობა შესთავაზა, ოღონდ გააფრთხილა, რომ არც კი „იფიქრონ განსაკუთრებულ სტატუსზე“. ამას გარდა, ყირიმში მყოფი პუტინი უკრაინის ხელისუფლების საკადრო პოლიტიკასაც შეეხო და თანამდებობებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაწინაურებას „სამარცხვინო პრაქტიკა“ უწოდა **„დღევანდელი სირთულეების მიუხედავად, ვითარება უკრაინაშიც გამოსწორდება, იქაც დაიწყება პოზიტიური განვითარება და შეწყდება ის სამარცხვინო პრაქტიკა, რომელსაც დღეს ვხედავთ. კერძოდ, დიდი ევროპული სახელმწიფო საერთაშორისო მართვის ქვეშ არის მოქცეული და ქვეყნის ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლების წამყვანი თანამდებობები უცხო ქვეყნების მოქალაქეებს უკავიათ. ვფიქრობ, ყველაფერი ეს დამამცირებელია უკრაინელი ხალხისათვის. ამას უკრაინელი ხალხი უეჭველად მისცემს შეფასებას. უკრაინა ფეხზე დადგება, დაიწყებს პოზიტიურ განვითარებას და რუსეთთან ერთად ააშენებს საკუთარ მომავალს“,** — დასძინა პუტინმა.

უკრაინის პრეზიდენტმა **პეტრო პოროშენკომ** „მთელი ცივილიზებული სამყაროსათვის გამოწვევა“ უწოდა რუსეთის პრეზიდენტის ყირიმში ჩასვლას. **„ასეთი მოგზაურობა მოასწავებს შემდგომ მილიტარიზებას ოკუპირებული უკრაინის ნახევარკუნძულზე და მის კიდევ უფრო მეტ იზოლაციას იწვევს“,** — აღნიშნა მან.

დანართი №2

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობებიანი საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:

ლოტის N	ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა	შენობის ფართი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი ფასი (ლარი)
ლოტი №1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვანთაში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა - ნაგებობა (საბავშვო ბაღის საქვაბე)	140 კვ.მ	53.01.47.020	8 800	2640	880	30
ლოტი №2	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კონდოლში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა - ნაგებობა(საბავშვო ბაღის საქვაბე)	42 კვ.მ	53.05.38.016	5 000	1500	500	30
ლოტი №3	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა - ნაგებობა (საბავშვო ბაღის საქვაბე)	26,8 კვ.მ	53.07.43.034	1876	562	187	30
ლოტი №4	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა - ნაგებობა (კულტსახლის საქვაბე)	65,3 კვ.მ	53.09.37.030	4 500	1350	450	30
ლოტი №5	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა - ნაგებობა (საბავშვო ბაღის საქვაბე)	47 კვ.მ	53.12.36.026	3000	900	300	30
ლოტი №6	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა - ნაგებობა (დამხმარე შენობა - ნაგებობა);	41,4 კვ.მ	53.12.36.026	2 600	780	260	30

2. აუქციონში გამარჯვებულმა პირმა 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში მოახდინოს შენობის სრული დემონტაჟი (აუქციონის პირობები). დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონება სრულად გადაეცემა აუქციონში გამარჯვებულს.

3. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბ.კ. LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბ.კ. TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

5. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი“-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

7. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2015 წლის 20 აგვისტოდან 2015 წლის 18 სექტემბრამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 18 სექტემბერს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

8. დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, ტელ: 0350 — 23 — 21- 90.

გამგებელი
ალექსანდრე შათირიშვილი

ᲔᲠᲘᲡ ᲬᲧᲚᲣᲚᲘ ᲐᲩᲜᲓᲐ ᲬᲧᲚᲣᲚᲐᲓ

ᲙᲐᲪᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲜᲓᲘ

ᲑᲔᲕᲠᲘ ჩვენგანის ცნობიერებაში რაინდი ბედაურზე ამხედრებულ, აბჯარასხმულ მეომრად არის აღბეჭდილი, რომელიც სიმართლისა და სამართლიანობის დასახმარებლად მიიჩქარის თანამებრძოლებთან ერთად ან მარტოდმარტო.

ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ რაინდი იყო ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲤᲝᲪᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ — მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ახალი მეცნიერული მიმართულების დამფუძნებელი და მისი თეორიული საფუძვლების ჩამყრელი...

აბჯარასხმულიც ყოფილა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. აბჯარი, პირდაპირი მნიშვნელობით, მაშინ აისხა, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჯარში რომ გაიწვიეს და ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ ომში ჩაება. გადატანითი მნიშვნელობით აბჯარასხმული ხომ მუდამ იყო და არაერთი შეუვალი ავტორიტეტი დაუმხია თავიანთ ფუყე მეცნიერულ ციხე-კოშკებთან ერთად.

სამაგალითო იყო მისი რაინდობა მეცნიერებაშიც და საზოგადო მოღვაწეობაშიც, პედაგოგიურ საქმიანობაშიც და პუბლიცისტიკაშიც. ბატონი ალექსანდრე თანამედროვეთა იმ რჩეულ კაცებს განეკუთვნებოდა, რომლებიც არასოდეს იტყვიან „კი“-ს, როდესაც „არა“ უნდა ითქვას და არასოდეს იტყვიან „არა“-ს., როდესაც „კი“ არის სათქმელი!

ოჰ, როგორ მინდოდა მის სიცოცხლეში გამომექყვენებინა წერილი მასზე, სათაურით „რაინდი“, საჯაროდ მეთქვა მისთვის, კაცობისა და რაინდობის როგორი ეტალონი იყო და რომ მისი ცხოვრების მაგალითი მომავალ თაობებს დარჩებათ სწორად ცხოვრების თვალსაჩინო ორიენტირად. მინდოდა, მაგრამ ქართულმა მედღეხვალიობამ დამაგვიანა. მისი წიგნი „წერილები“ რომ გამოვიდა, მასუკან ყოველდღე ვფიქრობდი, ჩემი სათქმელი მეთქვა ფართო საზოგადოებრიობისათვის, მით უფრო, რომ მისი რაინდობის წერილობითი საბუთი ამ წიგნის სახით, უკვე ჰქონდა საზოგადოებას, მაგრამ... ბატონი საშა ფიზიკურადაც უკვდავი მეგონა...

საზოგადოებრიობამ, რა თქმა უნდა, უჩემოდაც იცოდა ვინ იყო ბატონი საშა ფოცხიშვილი. ისიც იცოდა, რომ იგი არავის ჰგავდა, რომ მისთვის სიმართლე იყო მთავარი და არა ის, თვითონ რას მიიღებდა სიმართლის მხარდაჭერისა თუ უარყოფის შემთხვევაში. მისი მოღვაწეობა მეცნიერებაშიც და პედაგოგიურ სარბიელზეც ასეთი ცხოვრებისეული პრინციპების დადასტურება იყო. მე თვითონაც გამოვცადე მისი რაინდული თანადგომის ხიბლი...

ერთი უაღრესად პოპულარული გაზეთის ფურცლებზე მწარედ გამაკრიტიკეს ჩემი მეცნიერული პოზიცის გამო. ჩემს კრიტიკოსს, ალბათ, ეგონა, რომ სამართლიანად მაკრიტიკებდა, მე კი ჩემი მეცნიერული პრინციპების ერთგული ვიყავი. ბატონი საშა ჩემს შეხედულებებს იზიარებდა, ჩემი კრიტიკა მცდარად მიაჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გამკრიტიკებელი მისთვისაც და სხვათათვისაც ერთობ საპატივცემულო კაცი იყო, შეეძლო პრობლემები შეექმნა მისი პუბლიკაციებისათვის, იგი მოსალოდნელ გართულებებს არ მოერიდა და რაინდულად დადგა ჩემს დასაცავად, თავისი ბასრი გონებითა და კალმით, სხვათა შორის, ის კრიტიკოსიც რაინდია და მანაც რაინდულად დააფასა ბატონი საშას პრინციპულობა.

თსუ-დან, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტიდან, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტიდან... მაშინ ასეთი ფუნაგორია გავრცელდა:

„ალექსანდრე ფოცხიშვილი,
ჩვენებურად საშა როა,
რაშიც იგი გაერევა,
ყველაფერი საშაროა“.

ალექსანდრე ფოცხიშვილი ხალასი, ბროლივით გამჭვირვალე პიროვნება იყო და როგორც რაინდს შეეფერება, რასაც ფიქრობდა, იმას ამბობდა და რასაც ამბობდა, ისე იქცეოდა, სწორედ. ობივატელი ამას გულუბრყვილობასა და წინდაუხედაობას უწოდებს, რადგან რაინდული ბუნება სრულიად გაუგებარია მისთვის.

ძალიან ეცადნენ რეტროგრადები და კომფორმისტები, რომ ალექსანდრე ფოცხიშვილის ტალანტი საზოგადოებისთვის „დაემალათ“ (!) მაგრამ ნიჭმა თავისი ქნა...

1993 წელს ბატონი საშას ინიციატივით შეიქმნა გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება, რომლის პრეზიდენტადაც იგი აირჩიეს. ამავე პერიოდში უცხოელ მეცნიერთათვის ცნობილი გახდა მისი ფუნდამენტური გამოკვლევა „ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან“, რამაც ცხოველი ინტერესი გამოიწვია ევროპის სამეცნიერო წრეებში. ამიტომ იყო, რომ ალექსანდრე ფოცხიშვილი აქტიურად მონაწილეობდა ენათმეცნიერების პრობლემებისადმი მიძღვნილ მრავალ საერთაშორისო კონფერენციებში (ოქსფორდი, პარიზი, სან-პაულო...).

დასრულდა რაინდი მეცნიერის, მოქალაქის, პატრიოტის ამქვეყნიური ფიზიკური ცხოვრება 89 წლის ასაკში. 89 წელი ბევრიც არის და ცოტაც. ბევრია იმისთვის, ვინც მხოლოდ თავისთავისთვის ცხოვრობდა და საქვეყნო საქმე აინუნშიც არ ჩაუგდია, ხოლო ცოტა იმისთვის არის, ვინც ქვეყნისთვის, მისი აწმყოსა და მომავლისათვის იღვწოდა, ვისაც „ერის წყლული აჩნდა წყლულად“. ალექსანდრე ფოცხიშვილისთვის 89 წელი ცოტა იყო, რადგან იგი მოხუცი არასოდეს ყოფილა, ჭაბუკური შემართებით იყო ამხედრებული რაინდულად შეაბჯრული.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲪᲣᲪᲥᲘᲠᲘᲫᲔ

ოყბინე

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ

ᲫᲐᲚᲖᲔ რთულია იცხოვრო ისე, ნებისმიერ ასაკში **შენს განვლილ ცხოვრებას რომ გადახედავ, „უკან მოხედვისა“ არ შეგეშინდეს.** მხოლოდ ერთეულებს უბოძებს განგება ამ ბედნიერებას და მათ შორის ბატონი **ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲓᲣᲜᲓᲣᲐᲪ** გახლავთ. ენერგიული, პრინციპული, მომლხენი, იუმორით აღსავსე, ტრადიციების ერთგული, ოჯახის, სამშობლოსა და უამრავი საძმოს მომფერებელი – ასე ხვდება ბატონი მურმანი თავისი 80 წლის იუბილეს. არც იოლი, ვარდყვავილებით მოფენილი არ ყოფილა განვლილი წლები – გაჭირვებაც იყო და ტკივილიც, უფრო მეტი სიხარული, სიყვარული და ერთგულებით გატარებული დღეები. ურთულესი პროფესიის (იგი ოცდაათ წელზე მეტ ხანს ემსახურებოდა სამხედრო საქმეს, როგორც კეთილსინდისიერი ოფიცერი) პიროვნებას სიჭაბუკიდანვე ხასიათის სიმტკიცე და საქმის ერთგულება ჰქონდა გასიგრძეგანებული. ახლაც, ოზურგეთში აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეა, ზრუნავს დევნილთა ბედზე, მათი პრობლემების შემსუბუქებაზე.

ბევრისთვის გასაოცარიც იქნება ასეთი მტკიცე ხასიათის პიროვნების სული თუ როგორი სათუთი და პოეტურია. გადახედეთ მის შემოქმედებას, მის სამ პოეტურ კრებულში გაერთიანებულ ხუთასამდე ლექსს და დარწმუნდებით პოეტთა საძმოსთან ფიცვერცხლნაჭამი კაცი თუ რაოდენ სიყვარულს ატევს თითოეულ სტრიქონში. მისი ყოველი ლექსი სულის ყივილია სამშობლოს, ქართველი ხალხის სიყვარულით გაჯერებული. აფხაზეთის ტრაგედიით გამოწვეულ ტკივილს სატრფიალო ლირიკა ცვლის, ტრადიციის ერთგულებას – თანამედროვეობა.

ბატონი მურმანი დიდი ოჯახის თავკაცია – ერთგულ მეუღლესთან ერთად ოთხი შვილით, ექვსი შვილიშვილითა და პატარა შვილთაშვილით ხარობს.

ვულოცავთ იუბილარს, კიდევ დიდხანს მდგარიყოს ჩვენი სამშობლოს, ოჯახის, ტრადიციების სადარაჯოზე სიმხნევითა და ენერგიით. კიდევ ბევრჯერ დაეტკბოს პოეზიის მოყვარულთა გულები.

ᲩᲕᲔᲜᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲐᲛᲘᲙᲝ!

გილოცავთ!

ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ. არც კი გვჯერა, რომ ეს წელთა სიმრავლე შენ გადევს მხრებზე. შენ ხომ დღესაც იგივე შემართებითა და ახალგაზრდული აღმაფრენით მიაბიჯებ და ცხოვრებას ულამაზებ ირგვლივ ყველას. უანგაროდ ნაკეთები სიკეთის გამო ხშირად სულ სხვა ადამიანებისაგან გვსმენია შენი ქება-დიდება, რაც ჩვენ, შენს შვილებს, მუდამ სიამაყით გვავსებდა.

„თესე სიკეთე, ბოროტება ვერ მოგერევა“ –

ამ დევიზით გვზრდიდი და შენ იყავი ამის ყველაზე კარგი მაგალითი. ახლაც ასე აგრძელებ.

დე, ღმერთმა ულევი სიხარული მოგცეს და მუდამ ბედნიერი გამყოფოს შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ცოლშვილის, შვილიშვილებისა და შვილთაშვილის სითბო და სიხარული არ მოგკლებოდეს.

ᲩᲕᲔᲜᲝ ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲝ ᲛᲐᲛᲘᲙᲝ,
ᲒᲙᲝᲪᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲔᲤᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ!

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲔᲓᲣᲮᲠᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ

„დღეს სიტყვა კაცის მნიშვნელობა ისე გაუფასურდა, მისთვის კაცურის დამატებაც კი გახდა საჭირო“-ილიას ეს სიტყვები რეალობას ხელშესახებს ხდის, თუმცა სრულიად საპირისპირო განცდაა, როცა სულით, გულით ქართველ კაცზე მურმან დუნდუას შესახებ ვსაუბრობთ.

მთელი ცხოვრება კაცობით განვლო და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა. მისი ცხოვრება წასაკითხად გადაშლილ საინტერესო წიგნს გავს, რომლის ყოველი ფურცლის წაკითხვისას ახალ რეალობას იგებ და მან ეს რეალობა თავის პოეზიით თქვა. მის ლექსებში ჩანს ქართული მიწის ძალა, ქართული სოფლის განსაკუთრებული ხიბლი, მზის ათინათი ასე რომ გვეფერება და გვათბობს.

მისმა განვლილმა საოცარმა გზამ, ჩვენ, დისშვილებს სულის სიმტკიცესთან ერთად, ქართველი კაცის ღირსეული ცხოვრების წესი გვასწავლა.

„შემოქმედება დროის შეჩერების მცდელობააო!“ – დრო ვერაფერს გაკლებს მურმან ბიძია, დრო არაფერია, არც ის 80 წელი, რომელიც სიყვარულით და პოეზიით გალიე. შენი ცხოვრება ჩვენ სილაღესა და მხნეობას გვმატებს. უკვე მიიღე ყველაზე დიდი ჯილდო ამქვეყნად გარშემო მყოფთა და ჩვენი სიყვარული!

ქართული ქედუხრელობით, პატიოსნებით, ვაჟკაცობით გამორჩეულ ერისკაცს, გილოცავთ 80 წლის იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, მრავალჟამიერ სიცოცხლეს, ჩვეული გულმხურვალეებითა და პროფესიონალიზმით ნაყოფიერი მოღვაწეობის გაგრძელებას.

გვეამაყები მურმან ბიძია!

გილოცავთ! გეფერებით!

ღრმა პატივისცემითა და
სიყვარულით ᲓᲘᲡᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ.

80 ᲬᲚᲘᲡ იუბილეს ვულოცავ ბატონ მურმან დუნდუას, საზოგადოებაში გამორჩეულს კაცურკაცობით, ტრადიციებით, პურღვინით, სიმამაცით, მეგობრობით, სიყვარულით, პრინციპულობითა და სამართლიანობით. მრავალჟამიერ დაგლოცოს უფალმა და გაგაძლიეროს ოჯახით, შვილებით, შვილიშვილებით, შვილთაშვილით და კეთილის მსურველებით.

დიდი სიყვარულით –
შენი ნათლია ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲣᲜᲓᲣᲐ.

ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲓᲣᲜᲓᲣᲐᲡ

მეოთხმოცე წელს გილოცავ ბუძუ,
იყავი ასე მხნედ და კაცურად,
შენ სიკეთის გაქვს ნაწოვი ძუძუ,
მიტომ გვიყვარხარ ასე ძალუმად.
სადაც ხარ მუდამ კაცურად იღვწი,
სულ კაცურ კაცის ქუდი გახურავს,
შენი გული ხომ სიკეთით იწვის,
შენი გრძნობა კი ცაში დაცურავს.
გვინდა რომ მუდამ მისდევდე ტალღებს,
შენს ნაკვალევზე ჩვენც გაგვატარო,
ერთსა გთხოვთ, ყველა დარდი და სევდა
მაგ შენს ლამაზ გულს არ გააკარო.
გილოცავ ბიძავ, დიდხანს იცოცხლე,
დაგლოცავს შენი დისშვილი ერთი,
გწამდეთ, გჯეროდეთ მურმან დუნდუას
ზეციდან ლოცავს მაღალი ღმერთი.

ᲒᲘᲐ ᲯᲝᲚᲐᲠᲙᲐᲕᲐ.

ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲑᲣᲫᲣᲡ!

სულის სილამაზე მსგავსი
ქრისტეს შემდეგ არ გვინახავს,
სიყვარულის საიდუმლოს
ყველას ანდობ, არ ინახავ.

ძალა მოგცა ღმერთმა, ნიჭიც
რომ სიკეთე თესო მუდამ,
შენებრ ნაღდი ვაჟკაცები
დამიჯერე, მტერსაც უყვარს.

სიხარულის მინიჭება
სულის საზრდო არის შენი,
მეოთხმოცე წელს გილოცავთ,
ბუძუ დისშვილები შენი!

ᲙᲝᲑᲐ ᲮᲐᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ფორუმის წინ

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სრულ მზადყოფნაშია

24-30 აგვისტოს ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. საქართველოს ნაკრები დამდეგ ფორუმზე 11 სპორტსმენით იასპარეზებს.

პირად პირველობაში მონაწილე არ გვეყოლება ორ წონაში – 66-სა და 100-ში, დანარჩენ წონებში კი ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი ამირან პაპინაშვილი (60), ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი, ევროპის ორგზის ფინალისტი და ევროპული თამაშების ვიცე-ჩემპიონი ნუგზარ ტატალაშვილი (ორივე – 73), ევროპის სამგზის, მსოფლიოსა და ევროპული თამაშების ჩემპიონი ავთანდილ ჭრიკიშვილი, უშანგი მარგიანი (81), ევროპის ორგზის გამარჯვებული, მსოფლიოსა და ევროპული თამაშების ფინალისტი ვალერი ლიპარტელიანი, ბექა ღვინიაშვილი (90), ევროპისა და ევროპული თამაშების ჩემპიონი ადამ ოქრუაშვილი და ლევან მატიაშვილი (+100) გამოვლენ.

გუნდურ შეჯიბრში ამ ძიუდოისტებს ვაჟა მარგველაშვილი (66) დაემატებათ. ქალთა ტურნირში ერთი მონაწილე გვეყოლება - ნატურალიზირებული ჰოლანდიელი ესტერ სტამი (70).

მსოფლიოს ჩემპიონატზე 24-29 აგვისტოს მამაკაცთა და ქალთა შორის მედლები 7-7 წონით კატეგორიაში გათამაშდება, ჩემპიონატის დასკვნითი დღე – 30 აგვისტო კი გუნდურ პირველობას დაეთმობა. 23 აგვისტოს ჩატარდება ოფიციალური კენჭისყრა.

საქართველოს ნაკრების ერთი ნაწილი ასტანაში უკვე გაემგზავრა, ხოლო დელეგაციის მეორე ნახევარი ყაზახეთის დედაქალაქში ხვალ ჩაფრინდება.

2014 წელს გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც რუსეთის ქალაქმა ჩელიაბინსკმა უმასპინძლა, ქართველმა ძიუდოისტებმა 3 მედალი აიღეს – 81 კგ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ავთანდილ ჭრიკიშვილმა, ამირან პაპინაშვილი (60) და ვალერი ლიპარტელიანი (90) კი ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ, ნაკრებმა ასევე ბრინჯაოს მედალი მოიგო გუნდურ შეჯიბრში.

აღსანიშნავია, რომ 24 აგვისტოდან მსოფლიოს ჩემპიონატის პირდაპირ ტრანსლაციებს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი გადასცემს. წინასწარი შეხვედრები თბილისის დროით დილის 9 საათიდან დაიწყება. ფინალური ბლოკი კი 15 საათიდან.

ქართველ ძიუდოისტთა გამოსვლის განრიგი:

24 აგვისტო – ამირან პაპინაშვილი (60).

25 აგვისტო – მონაწილე არ გვყავს.

26 აგვისტო – ლაშა შავდათუაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი (ორივე 73).

27 აგვისტო – ავთანდილ ჭრიკიშვილი, უშანგი მარგიანი (ორივე 81).

28 აგვისტო – ვალერი ლიპარტელიანი, ბექა ღვინიაშვილი (ორივე 90), ესტერ სტამი (70).

29 აგვისტო – ადამ ოქრუაშვილი, ლევან მატიაშვილი (ორივე +100).

30 აგვისტო – გუნდური შეჯიბრება.

ბადრი იაშვილი

◎ მეტოქე

ტონგამ გამოცდილებს ახალგაზრდები შეუამხანაგა

ტონგას მორაგბეთა ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობამ ის შემადგენლობა დაასახელა, რომლითაც 2015 წლის მსოფლიო თასზე ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ კუნძულელთა სიაში ჯერჯერობით მხოლოდ 30 მორაგბეა, 31-ეს კი მოგვიანებით შეარჩევენ.

„იკალე ტაჰის“ შემადგენლობა გამოცდილი და ახალგაზრდა მოთამაშეების ნაზავს შეადგენს. გუნდში არიან ის მოთამაშეები, რომლებმაც ოთხი წლის წინანდელ მსოფლიო თასზე სახელი მოიხვეჭეს და თვით საფრანგეთი დაამარცხეს და არიან ისეთებიც, რომელთაც ეროვნულ გუნდში დებიუტი მიმდინარე წელს წყნარი ოკეანის თასზე ჰქონდათ. ამ ტურნირის პირველ ტურში გუნდი მომავალ გამარჯვებულ ფიჯისთან 22:30 დამარცხდა, მომდევნო სამი თამაში კი მოიგო - კანადასთან 28:18, აშშ-სთან 33:19, იაპონიასთან 31:20 და მესამე ადგილი დაიკავა.

ზემოთ ნახსენებ ტურნირში ნახევარმცველმა ფეტუუ ვაინიკოლომ ოთხი ლელო გაიტანა და ფიჯელ ლეონ ნაკარავასთან ერთად საუკეთესო მელელოვე გახდა. წყნარი ოკეანის თასზე ნათამაშები მორაგბეებიდან მსოფლიო თასზე 20 მიემგზავრება, მათ შორის, ტელუსა ვეაინუ, ვილიამი ტაჰიტუა და სოსეფო მააკე, რომელთაც ნაკრების კვართი რამდენიმე თვის წინათ პირველად მოირგეს.

ტონგელები უკვე ინგლისში არიან და იქ განაგრძობენ მსოფლიო თასისთვის მზადებას. მათ ბანაკი სურეის საგრაფოში დასცეს და 28 აგვისტოს ინგლისის "ავივა პრემიერშიპის" კლუბ ნოტინგემთან ამხანაგურ თამაშს გამართავენ, ხოლო 5 სექტემბერს ბუქარესტში რუმინეთის ნაკრებს შეხვდებიან.

აღსანიშნავია, რომ ტონგელებმა 2011 წელს ახალ ზელანდიაში ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს და წელს ამ მაჩვენებლის გაუმჯობესებას გეგმავენ. ამაში მათ ხელი საქართველოს ნაკრებმა უნდა შეუშალოს. „გ“ ჯგუფის პირველ მატჩში, 19 სექტემბერს, ტონგა გლოსტერში სწორედ საქართველოს ნაკრებს ეთამაშება, 29-ში ექსეტერში ნამიბიას დაუპირისპირდება, 4 ოქტომბერს ლესტერში არგენტინას ეთამაშება და ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩს 9 ოქტომბერს ნიუკასლში ახალ ზელანდიასთან გამართავს.

შემადგენლობა ტონგას რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ეპი ტაიონემ გაახმოვანა, რომელიც თავადაა ორი მსოფლიო თასის (1999 და 2007 წლების) მონაწილე. შემადგენლობის ბირთვს ინგლისურ და ფრანგულ კლუბებში მოთამაშე ლეგიონერები წარმოადგენენ. ტონგას შიდა პირველობიდან 30-კაციან განაცხადში მხოლოდ ერთი მორაგბე მოხვდა, ხოლო რამდენიმე მოთამაშე ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის, ასევე იაპონურ კლუბებს წარმოადგენენ.

ტონგას ნაკრები 2015 წლის მსოფლიო თასზე: ტევიტა მაილაუ (პერპინიანი, საფრანგეთი), ალისონა ტაუმალოლო (გრენობლი, საფრანგეთი), სონე ტონგაუიჰა (უიონაკსი, საფრანგეთი), ჰალანი აულიკა (ლონდონ აირიში, ინგლისი), სილა პუაფისი (გლოსტერი, ინგლისი), ელვის ტაიონე (ექსეტერ ჩიფსი, ინგლისი), პაულა ნგაუამო (მონ დე მარსანი, საფრანგეთი), ალეკი ლუტუა (ამპთილი, ინგლისი), ტუკულუა ლოკოტიუ (ბეზიე, საფრანგეთი), ჯოზეფ ტუინეაუ (დაქსი, საფრანგეთი), სტივ მაფი (ვესტერნ ფორსი, ავსტრალია), ოპეტი ფონუა (ლესტერ თაიგერსი, ინგლისი), ჰალე ტ-პოლე (ოტაგო, ახალი ზელანდია), ნილი ლატუ (ნიუკასლ ფალკონსი, ინგლისი), ჯეკ რამი (ოკლენდ ბლუზი, ახალი ზელანდია), ვილიამ მააფუ (უიონაკსი, საფრანგეთი), სიონე კალამაფონი (გლოსტერი, ინგლისი), სონატანე ტაკულუა (ნიუკასლ ფალკონსი, ინგლისი), სამისონი ფისილაუ (ჯერსი, ინგლისი), სოსეფო მააკე (ჰაველუ ბულდოგსი, ტონგა), კურტ მორატი (ბიარიცი, საფრანგეთი), ლატიუმე ფოსიტა (დონკასტერი, ინგლისი), სიონე პიუკალა (პერპინიანი, საფრანგეთი), სიალე პიუტაუ (იამაჰა, იაპონია), ვილიამი ტაჰიტუა (ნორთლენდი, ახალი ზელანდია), ფეტუუ ვაინიკოლო (უიონაკსი), ტელუსა ვეაინუ (მელბურნ რებელსი, ავსტრალია), ტევიტა ჰალაიფონუა (გლოსტერი, ინგლისი), ვილიამ ჰელუ (ედინბურგი, შოტლანდია), ვუნგაკოტო ლილო (მონტობანი, საფრანგეთი).

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

გელაზონია „ვალიადოლიდში“ ითამაშებს

ესპანურმა „ვალიადოლიდმა“, რომელიც რანგით მე-3 ლიგა ლებსილვერის ბინადარია, ქართველ კალათბურთელ შოთა გელაზონიას (სიმაღლე 2.05 მ.) კონტრაქტი გაუფორმა.

21 წლის ცენტრმა გასული სეზონი ესპანეთის რანგით მე-4 ლიგა ებაში გაატარა და საშუალოდ 15.5 ქულას, 8.8 მოხსნას და 1.1 პასს აგროვებდა, რითაც „ვალიადოლიდის“ ყურადღება მიიპყრო.

ცნობისთვის, ვალიადოლიდელები ჯერ კიდევ 2013-14 წლების სეზონში ესპანეთის უმაღლეს ლიგაში თამაშობდნენ, თუმცა, მას შემდეგ საგრძნობი უკუსვლა განიცადეს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

„მარსელი“ ესპანელმა ჩაიბარა

მადრიდის „რეალის“ ყოფილი ფეხბურთელი მიჩელი „მარსელის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ამ პოსტზე ესპანელმა არგენტინელი სპეციალისტი მარსელო ბიელსა შეცვალა.

2015 წლის იანვარში მიჩელი პირეოსის „ოლიმპიაკოსის“ დამრიგებლობიდან დაითხოვეს, მანამდე კი „რაიო ვალეკანოში“, „კასტილიაში“, „ხეტაფესა“ და „სევილიაში“ უმუშავია. ფეხბურთელობისას მიჩელი 14 სეზონის განმავლობაში ასპარეზობდა „სანტიაგო ბერნაბეუზე“.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

ფედერერმა ცინცინატში პირველი გამარჯვება იზეიმა

დიდი სლემის 17-გზის ჩემპიონმა როჯერ ფედერერმა ცინცინატის მასტერსზე პირველი გამარჯვება იზეიმა. ტურნირის 1/16-ფინალში ფედერერმა ესპანელი რობერტო ბაუტისტა-აგუტი 6:4, 6:4 დაამარცხა. როჯერმა ორივე სეტში თითო-თითო ბრეიკი შეასრულა, რაც გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა. შეხვედრა საათსა და 11 წუთს გაგრძელდა.

ფედერერმა 6 ეისი ჩააწოდა და 2 ორმაგი შეცდომა დაუშვა, ხოლო ესპანელმა 4 ეისი მოაწოდა და არც ერთი ორმაგი შეცდომა არ დაუშვია.

ტურნირის 1/8-ფინალში როჯერის მეტოქე ანდერსონ-სოკის წყვილის გამარჯვებული იქნება.

მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩი პირველ წრეში ფრანგ ბენუა პერს შეხვდება.

ცინცინატის ტურნირის საპრიზო ფონდი 4 457 065 ამერიკულ დოლარს შეადგენს. აღნიშნული მასტერსი ყველაზე მეტჯერ 6-ჯერ როჯერ ფედერერს აქვს მოგებული (2005, 2007, 2009, 2010, 2012, 2014).

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

კანადის მშვენება

თძვენს წინაშე საწმერთულისამარა მდგომი ფერხორციანი დიაცი კანადელი მოდელი სანი ლეონეა, რომელიც ერთ დროს ჰოკეის ყვანჯსაც დაშზოშიანად იქნევდა და ჰოკეისტ ქალთა მარაქაშიც იყო გარეული, თუმცა ამჟამად მისი სპორტული წლები უკანაა მორჩენილი და ყვანჯი მოდელის კარიერაზე გაცვალა.

როგორც რეალობა ცხადყოფს, კანადის უკიდეგანო მიწაზე, სანი ლეონე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ასული ყოფილა და მის მოტრფიალეთა რიცხვი კიდით-კიდემდე იზრდება. სანი ლეონეს უთამამესი ფოტოები კი ვითარცა ვერაგი ვირუსი – ისეა მოდებული ინტერნეტში და კაცს რა გულმა უნდა გაუძლოს, მათ თვალი რომ არ შეავლოს.

მიუხედავად იმისა, რომ სანი 30 წელს კარგა ხანია გადასცდა, ასაკს არასოდეს უსვამს ხაზს და ვინც უხსენებს, კაი ბარაქიანი ალიყური არ ასცდება. სამოდელო საქმე სანი ლეონეს მართლაც რომ ფანატიკურად უყვარს და სადაც დიდი სიყვარულია, იქ წლები და ასაკის თანმდევი დარდი უძლურია!

როსტომ რაჭველიშვილი

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექ-ტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქ-ციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონები და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. დვაბზუს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ნატანების ქვიშა-ხრეშის გამოელინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 32 700 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. დვაბზუს მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	4 977 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	497,7 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 689 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 2

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დამონტაჟოს, შეაკვლიოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცილით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორიგულობის მოწესრიგება. ხოლო ოვითმიდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინანდლის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (საშეწარმო დანიშნულებით, კატეგორია - C₂, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 146 000 მ³/წელიწადში.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინანდლის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	2 831 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	283,1 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	1 616 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 3

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ობიექტზე არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. გ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წარმოებისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით. დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონები და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები, ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. აგარის მიმდებარე ტერიტორია, „აგარის" (უბანი სამხრეთი) ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - A+B, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა) – 69 600 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. აგარის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	12 104 ლარი
9	ბიჯის სიდიდე	1210, 4 ლარი

	(საწყისი ფასის 10 %)	
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	6 252 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი № 4	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღრეღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გაცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. საჩხერის ტერიტორია, ივანე გომართელის ქ. №5, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (საშეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 825 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. საჩხერის ტერიტორია, ივანე გომართელის ქ. №5
8	აუქციონის საწყისი ფასი	53 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	5,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	227 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	15 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი № 5	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე. დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღრეღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გაცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. სალხინოს ტერიტორია მიწისქვეშა მტკნარი წყალი (საშეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 730 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. სალხინოს ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	24 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	2,4 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	212 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი № 6	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

	ლიცენზიის სახე	
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აქლით ან მის გარეშე. დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი) საჭიროებს გარშემო 1,0-1,5 მეტრი დიამეტრით ბეტონის დასხმას, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას და შემოღობვას. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩიხას მიმდებარე ტერიტორია. მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 7.30 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩიხას მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	23 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	2,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	212 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	20 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი № 7	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აქლით ან მის გარეშე. დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) ჭაბურღილი საჭიროებს მიმდებარე ტერიტორიის შემოღობვას. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახშირღელის ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 730 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნახშირღელის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	24 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	2,4 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს	212 ლარი
	(50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 21 სექტემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი № 8	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აქლით ან მის გარეშე.

